ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 სამშაბათი, 18 დეკემბერი № 1674

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

სფირიდონ გრიგოლის ძე გაგნიძე და ნინო სფირიდონის ასული ჩიქოვანისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი ძვირფასს მეუღლის, ხოლო მეორე დედისა

მარიამისას.

და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გასვენებაზე საკუთარს სახლიდან, ნიკოლოზის ქუჩა, № 25, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, კუკიაში, ოთხშაბათს, 19 დეკემბერს 10 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. (2—212—1)

ელისაბედ იოანეს ასული გამრეკელისა, ელენე გაბრიელის ასული გამრეკელისა, მღვდელნი: ილია, სვიმონ და გიორგი გაბრიელის ძენი გამრეკელნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი დაუვიწყარის ქმრის, მეორენი—საყვარელის ძმის ს. დიდ-მეჯვრისხევის წმ. გიორგის (უსანეთის) ეკლესიის მღვდლის

ზაქარია გამრეკელისას.

მიცვალებულის გვამს დაჰკრძალავენ სოფ. დიდ-მეჯვრისხევში, ოთხშაბათს, 19 დეკემბერს. (1—1)

ხუთშაბათს, 20 დეკემბერს 1901 წელს

ქართული თეატრი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესები

I
პედაგოგები
კომედია 3 მოქ. ოტტო ერნსტისა თარგ. დ. ნახუცრიშვილისა.

II
თაიგული
კომედია 1 მოქ. გადმოკეთებული არ. ქუთათელაძის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანოვი, სარჯველაძე, იმედაშვილი, წუწუნავა და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

მზადდება წარმოსადგენად „მუზმუზელა“, „თამარ-ბატონიშვილი“ და „ორი ჯიბგირი“.

რეჟისორი ვ. გუნია.

**ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.
ე. ბ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.
ვ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.
ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.
ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.
ა. ზ. ბარხუძოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.
ა. ბ. მაღალაშვილი.—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.
ბ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ტელეფონი № 274. (წლ.)

**მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მომავალ საქალაქო არჩევნებისათვის შესადგენ ამომრჩეველთა სიებში შეტანილი იქმნებიან მხოლოდ იმ უძრავ მამულების პატრონები, რომლებზედაც დეკემბრის დასრულებამდე აღარ იქნება დარჩენილი ნედოიმკა საქალაქო გადასახადისა, რომელიც 1901 წლის 1-ლ ივლისამდე იყო შემოსატანი. აცხადებს-რა ამას საქალაქო გამგეობა, სთხოვს ბბ. სახლის პატრონთ იზრუნონ და თავის დროზე შემოიტანონ ხვედრი ნედოიმკა. (ნ. 3—2)

იყიდება 1902 წლის
უბის წიგნი
და
კალენდარი
საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში. ფასი 40 კაპ. გამოცემა „გლეხისა“. (5—1)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხრეთ-აფრიკა. «ვინ მოსთვლის ზღვაში ქვიშა, ანუ ცაში ვარსკვლავებს! ვინ შეამკოს ღირსეულად...» თავისუფალი მოქალაქეების თავგანწირული გმირობა. რა მიმართულებისა და რა რწმენისაც უნდა იყვნეთ, მაინც ძალაუნებურად გაგიტაცებთ, მოგხიბლავთ გმირი რესპუბლიკელების თავდავიწყებული მამაცობა, მათი თავზე ხელაღებული, აღტაცებული ბრძოლა—თავისუფლებისათვის. ყველანი ამბობენ და მართალიცაა, რომ ამისთანა მედგარი ბრძოლა ჯერ ისტორიაში არა ყოფილა. როგორც დეპეშებიდან სჩანს, ეხლა უფრო ძლიერ გაჩაღებულა ეს ბრძოლა. ტრანსვაალში, ორანჟის რესპუბლიკაში, თუ კაპის კოლონიაში, ყველგან დიდი შეტაკება მოსვლიათ ბურებსა და ინგლისელებს. ბევრგან ბურებს გაუმარჯვნიათ. ბოტასა და დევეტს ხომ ძალზე დაუმარცხებიათ ინგლისელები. აკი დევეტი მოკვდაო? დევეტი ცოცხალი ყოფილა, მაგრამ ინგლისელ ჯინგოისტებს კი ნამდვილად გული მოუკვდებოდათ, როცა კიტჩენერის უკანასკნელს დეპეშას წაიკითხავდნენ. რაც ხანი მოსცდა და ჩუმად იყო, «შავმა ქრისტიანმა» ეხლა ყველა ერთბაშად ინაზღაურა. ეს ამბავი თვით ინგლისელ ჯიუტ იმპერიალისტებსაც კი ძლიერ დააფიქრებდა, ცოტა არ იყოს, ჭკვაზე მოიყვანდა და შერიგების გუნებაზე დააყენებდა. ვნახოთ, რა ამბავს მოიტანენ გაზეთები.

✡ თვით ზოგიერთი ინგლისელი იმპერიალისტებიც კი დაფიქრდა, ამაზე კიდო შესწყვეტა და ზავზე ლაპარაკი დაიწყო. გაზეთებში ეწერა, სამხედრო მინისტრს ბროდრიკს ვითომ ეთქვა, ბურებთან ზავი უნდა ჩამოვაგდოთო. მაგრამ ბურები კი სულ თავისას ამბობენ: თუ დამოუკიდებლობას არ შეგვარჩენენ, ისე ზავს არას დროს არ დავსთანხმდებითო. პრეზიდენტი კრიუგერიც ნიადაგ ამას ამბობდა, ეხლაც ამას ამბობს. პრეზიდენტს უთქვამს წინად, თუ დამოუკიდებლობას წაგვართმევენ, ისე ზავის ამოგდებას გუნებაშიაც არ გავიტარებთო.

ბურების დელეგატებს ვოლმარანსსა და ფიშერსაც ესეთივე პასუხი მიუციათ გაზეთის თანამშრომლისათვის.

✡ კარგა მიდის ბურების საქმე, ეგ არის ცოტა გული იმაზე დასწყდებოდათ, რომ ინგლისელებმა ორიოდე ნიჭიერი სარდალი დაატყვევეს. შეფერსი ავადმყოფობისაგან შეწუხებული ჩავარდა ხელში, კრიუცინგერი კი ბრძოლაში მძიმედ დაეჭრათ. კრიუცინგერის რაზმი—150 კაცი—ორიოდე დაჭრილ კაცს გარდა მაინც ხელიდან წაჰსვლოდათ ინგლისელებს და თავის გზას გაჰდგომოდა. კაპის კოლონიის შუაგულისკენ გაეწია. ეგ არის, რომ თავიანთი დაჭრილი სარდალი და ამხანაგები ველარ წაეყვანათ თანა. ინგლისელები მისულიყვნენ და დაჭრილი კრიუცინგერი დაეტყვევებინათ. ბურების დელეგატს ვოლმარანსს უთქვამს «ნიუ-იორკ-ჰერალდი»-ის თანამშრომლისათვის:

«კრიუცინგერის დატყვევება, რასაკვირველია, დიდი ზარალია ბურებისათვის. მაგრამ ბურების ყველა გენერლები სულ უბრალო მეომრები იყვნენ წინად, სულ უბრალო ხალხიდან გამოვიდნენ. თუ საჭირო იქნება, იმავე ხალხში კიდევ ბევრი ნიჭიერი სარდალი გამოჩნდება. გაჭირვების დროს ისეთი უბრალო მებრძოლნი გამოიჩენენ სარდლის ნიჭსა და უნარს, რომ იმათი სახელი გაგონებითაც ეხლა არავის არ გაუგონია. თითონ კრიუცინგერზე კი უნდა მოგახსენოთ, რომ ნამდვილად ნიჭიერი კაცია. დარწმუნებული ვარ, ინგლისელებიც პატივს სცემენ იმის ნიჭსა და კარგად მოექცევიან».

✡ ყველა მხრიდან, ყოველ ქვეყნიდან პრეზიდენტს კრიუგერს დიდ-ძალ ფულს უგზავნიან ბურების ქალებისა და ბავშვებისათვის გადასაცემად.

ინგლისი. გასაკვირველია ბურების გმირული ბრძოლა, მაგრამ არც თუ ინგლისის ოპოზიციის ბრძოლაა ნაკლებ გასაშტერებელი. ბურები სამხრეთ-აფრიკაში ებრძვიან ინგლისის ჯარსა და ინგლისის ოპოზიცია კი შინ, ინგლისშივე ებრძვის ამ ჯარის ნამდვილ სარდლებს—ინგლისელ იმპერიალისტებსა და ჯინგოისტებს. გმირობაა ზღვა ჯართან ბრძოლა, მაგრამ არც თუ ნაკლები გამბედაობა და გმირული გული უნდა ჰქონდეს კაცსა, რომ გააფთრებულ, გამხეცებულ ინგლისელ ჯინგოისტებს პირდაპირ დაეჯახოს და შეებრძოლოს. ყველასაგან პატივისცემა ეკუთვნით თავისუფლებისათვის მებრძოლ ბურებს, მაგრამ ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის მებრძოლი ინგლისის ოპოზიცია ნაკლებ თაყვანისცემის ღირსი არაა, მეტადრე ისეთი გულწრფელი, უანგარო და თავდადებული მებრძოლი, როგორიც ახალგაზრდა ინგლისელი დეპუტატი ლოიდ ჯორჯია. ახალგაზრდა მოღვაწე პირველად 1899 წელს აირჩიეს დეპუტატად, მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაშიაც ყველას ყურადღება მიიზიდა და დიდი სახელი დაიმსახურა.

გაზეთ «მატენ»-ის კორესპონდენტს უკითხავს ჯორჯისათვის: რისთვის წახვედით ბირმინჰამში, განა წინადვე არ იცოდით, რომ იქ ხმას არ ამოგაღებინებდნენ? ჯორჯს უპასუხნია:

«დიახ, წინადვე ვიცოდი, ვერას გავხდებოდი, მაგრამ აი მე რა მინდოდა. «ის კაცი» (ჩემბერლენი) ნამდვილი მეფე-ბატონია ბირმინჰამში, დარწმუნებულიცაა, რომს ჩემ გარდა იქ ვერავინ გაჰბედავს მისვლასაო. ამიტომ მინდოდა «იმ კაცისათვის» დამენახვებინა, რომ ის ძლიერ შემცდარია. რომ, ბირმინჰამში სხვასაც შეუძლიან მისვლა. მართალია, არ მალაპარაკეს, მაგრამ ის მაინც დავამტკიცე, რომ ჩვენში ლაპარაკის თავისუფლება აღარაა. ჩვენი იმპერიალისტები არწმუნებენ ბურებს, დაგვმორჩილდით, ჩვენ ხელში არაფერი არ გაგიჭირდებათ, თავისუფლები იქნებითო. მე დავანახვე ბურებს, რომ ეს თავისუფლება ჩვენც აღარა გვაქვს და აბა იმათ რაღა უნდა მივცეთ. ინგლისს ყოველთვის თავი მოჰქონდა თავისუფლებით, ჩვენი ქვეყანა იმით იყო განთქმული, რომ ყველას რწმენასა და აზრს პატივსა სცემდა. მართალიცაა, აქამდე ასე იყო, მაგრამ ჩემბერლენმა და იმისმა დამქაშებმა ყველაფერი შესცვალეს. თუ ასე წავიდა საქმე, ინგლისი ყველაფერს დაჰკარგავს და ხელში მხოლოდ «ის კაცი» და გამხეცებული პატრიოტები-და შეგვრჩება. მე დავანახვე ჩვენ ერს, რომ ეხლანდელი მთავრობის ხელში ბრძოლითა და სისხლით ნაშოვნი თავისუფლებაც კი მოგვესპო».

ამბობენ, რომ 6 დეკემბერს (და არა 6 ნოემბერს, როგორც შეცდომით ეწერა ჩვენ გაზეთში) ლოიდ ჯორჯს 40,000-ზე მეტი კაცი მიესიაო. ამ მანიფესტაციის დროს 100-ზე მეტი კაცი დაუჭრიათ მძიმედ. ბევრი მანიფესტანტი დაუტუსაღებიათ და სამართალში მიუციათ. სასამართლო მალე გაარჩევს მათ საქმესაო. «დეილი ნიუს»-ი სწერს: ამ საქმეზე პარლამენტშიაც პასუხს მოსთხოვენ მთავრობასაო.

მანიფესტანტებს იმავე დღეს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნიათ ჩემბერლენისათვის და, სხვათა შორის მიუწერიათ: «ჩვენი სამშობლოს მოღალატეს ლოიდ ჯორჯს ერთი სიტყვაც არ ვათქმევინეთო».

ჩემბერლენსაც უთქვამს ამ საქმის შესახებ: თუმცა ვნანობ, რომ ჩემმა თანა-მოქალაქეებმა და ამომრჩევლებმა ძალ-მომრეობა იხმარეს და უწესოება მოახდინეს, მაგრამ ამაზე ვერც ძალიან დავძრახავ და გავკიცხავო.

აბა რისთვის გაჰკიცხავთ, როცა თქვენი ძალაცა და ბატონობაც ამ ძალ-მომრეობაზეა დაფუძნებული. როგორ დასძრახავთ თქვენთვის თავდადებულ პატრიოტებს, თქვენ ბურჯსა და იმედს ჯინგოისტებს. მაშინ ხომ «ყოვლად ჩემბერლენი» კი არა, უწინდელი პატიოსანი რადიკალი მოღვაწე ჯოზეფ ჩემბერლენი იქნებოდით.

გაზეთები სწერდნენ: რაც ბირმინჰამელმა პატრიოტებმა უწესოება მოახდინეს, ლოიდ ჯორჯს ისე გაუჭირდა საქმე, რომ მეტი ჩარა აღარა ჰქონდა, პოლიციელის ტანისამოსი ჩაიცვა და ისე უშველა თავსა, ისე გაუძვრა ხელიდან გაკაპასებულ პატრიოტებსაო. ლოიდ ჯორჯს უთქვამს «მატენ»-ის თანამშრომლისათვის: ეგ ტყუილიაო, ჩემ დღეში პოლიციელის ტანისამოსი არ ჩამიცვამსო. ეგეც პატრიოტებმა მოიგონეს. აღარ იციან, როგორ გამასასაცილონო.

გერმანია. ბერლინის ქალაქის თავის თანაშემწე ბ-ნი კაუფმანი დღემდე არაა დამტკიცებული. იმპერატორი გაკერპდა, არ ამტკიცებს კაუფმანს, მეტად უკიდურესი აზრების მიმდევარიაო; ქალაქის საბჭოს კიდევ სხვა კაცის ამორჩევა არ უნდა. ამიტომ იმპერატორი ძლიერ უწყრება საბჭოს და იმისი გაჯავრებული მთელ სატახტო ქალაქსაც. «მატენ»-ის კორ-სპონდენტი სწერს: იმპერატორი ვილჰელმი დღესაც გაჯავრებულია ბერლინზე. მთელი ზაფხული და შემოდგომა სულ პოტსდამში გაატარა და ეხლა გადაუწყვეტია, რომ ზამთარიც პოტსდამში იცხოვროს, თუმცა საზაფხულო სასახლე მეტად ვიწრო და პატარაა.

ახალი ამბავი

✦ ამ თვის 15 ტფილისის ფერისცვალების მონასტერში მიასვენეს გვამი გარდაცვალებულის არხიმანდრიტის **კესარიოსისა**. მწირველი ბრძანდებოდა მათი მეუფება ეპი-

სკოპოზი გორისა კირიონი, ქალაქის სამღვდელოებით. წირვა იყო ქართულად და გალობდა ქართულად ორი გუნდი. ერთი ბერიევის ლოტბარობითა და მეორეც ამავე მონასტრის სამრევლო სკოლის ყმაწვილებისა—მასწავლებლის ლოტბარობით. მგალობელნი მშვენივრად გალობდნენ და ყველას სასიამოვნოდ მიაჩნდა ქართული წირვა. ნამეტან შთაბეჭდილებას ახდენდა მთავარ დიაკვნის კარგარეთელის მშვენიერი ხმა და ქართული კილო. წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო, ნათესავები და ნაცნობები და დიდათ გლოვობდნენ განსვენებულს არხიმანდრიტს კესარიოსს, რომლის გვამიც იმავე ტაძარში მიიღეს.

✦ კვირას ვაჭართა კამერის სადგომში მოხდა **საზოგადო კრება** ვაჭრებისა. ყველაზე უწინ განიხილეს კითხვა, რომ მიიღონ მონაწილეობა ობოლთა სასამართლოს ხარჯებში. ეს კითხვა აღძრული იყო ქალაქის გამგეობისგან, რომელიც ხედავდა, რომ ამ ხარჯებში ვაჭართა საზოგადოებამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. კრებაზე უარჰყვეს გამგეობის წინადადება. შემდეგ მოხდა არჩევნები ობოლთა სასამართლოს წევრებისა ვაჭრების მხრივ. ამოირჩიეს ბ.ბ. ობოვიანცი, აივაზოვი, გულია და არუთინოვი. ამის შემდეგ კვალად ქალაქის გამგეობის წინადადება გაირჩა შესახებ დამფასებლების არჩევისა, რომელთაც უნდა დააფასონ ის მამულები, რომლებიც საა ქციზო გარდასახადს იხდიან. კრებამ განაცხადა რომ დამფასებლად უძრავი ქონების პატრონები უნდა ამოირჩიონ; ამოირჩიეს ვაჭრები ი. ბადანოვი, ვ. ბერელაშვილი, მ. ანდრიასი და გ. ტერ-ნიკოლოზივი. გარდა ამისა აღძრული იყო კითხვა, თუ როგორ იდღესასწაულონ ვაჭართა მოურავის ბ. დავიდოვის 25 წლის სამსახურის იუბილეი. კრების თავმჯდომარემ გადასდვა ეს კითხვა და დასძინა, როდესაც უფრო ბევრი წევრები დაესწრებიან კრებას, მაშინ აღვძრავ ამ კითხვასაო.

✦ ქალაქის თავის მოადგილემ მიმართა შუამდგომლობით, სადაც ჯერ არს, რომ აცნობონ მას, რა მდგომარეობაში იმყოფება ქალაქისაგან აღძრული შუამდგომლობა შესახებ ოთხ-კლასიანი ქალაქის სკოლის გახსნისა და **აგრეთვე სტიპენდიებისა** ქალების პირველ და ვაჟების მეორე გიმნაზიებში.

✦ რადგანაც პეტერბურგის საელექტრონო-ტეხნიკურ ინსტიტუტის **მეხუთე კურსის სტუდენტები** ადგენენ სხვა და სხვა საელექტრონო პროექტებს ქუჩების განათებისას, ელექტრონების ტრამვაისას და სხვათა, ამიტომ ამ ინსტიტუტის დირექტორმა სთხოვა ტფილისის ქალაქის თავს, რომ გაუგზავნონ მათ პეტერბურგში ტფილისის გეგმა, მისი ქუჩების მოწყობილება, მოსახვევ-მისახვევები და სხვა.

✦ უფროსმა სავაჭრო-სამეურნეო აგენტმა აღძრა გამგეობაში კითხვა, რომ მიღებულ იქმნეს ზოგიერთი ზომები, რომ გაუმჯობესდეს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის საქმეები, რათა **გაძლიერდეს ქალაქის შემოსავალი.**

✦ გუშინ პოლიცმეისტრის განკარგულებით მოწვეულნი იყვნენ ქალაქის ყველა უბნის ბოქაულები, რომ განეხილათ წესრიგი ქალაქში **სასტიკი სიცივის** დაარსების გამო. ამ სხდომაზე შეიმუშავეს საქმის წაყვანისათვის საჭირო კითხვები.

✦ 19 დეკემბერს დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და სამოსწავლო კომისიისა იმის გამო, რომ შეიმუშაონ, როგორ უნდა გააუმჯობესონ **სწავლის საქმე** ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში, როგორც ამას სამოსწავლო მზრუნველობა თხოულობს.

✦ ტფილისის კომერციული სასწავლებლის **დირექტორის წინადადებით**, ამ სასწავლებლის სამზრუნველოს საბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა წინაშე სამოსწავლო განყოფილებისა ფინანსთა სამინისტროსი, რომ შეიცვალოს დრო და წეს-რიგი სწავლებისა ბუხჰალტერიის კურსებზე, რომელიც ამ სასწავლებელთან არის მოთავსებული, ისე, რომ სწავლება კვირაში ორჯელ მეტად არ იყოს და ისიც არა უმეტეს ორის საათისა.

✦ კომერციული სასწავლებლის სამზრუნველო საბჭომ გაგზავნა პეტერბურგში ამ სასწავლებლის დირექტორი ფიშერი, რათა დაესწროს მომავალ თვეში **კომერციულ განათლების მოღვაწეთა** კრებას.

✦ სახალხო წარმოდგენების სადგომში ქართულ სცენის მოყვარეთ შემდეგი **სახალხო წარმოდგენა** ექნებათ გამართული შაბათს, 22 დეკემბერს; წარმოსადგენად დანიშნულია ფრანგულიდან ნათარგმნი პიესა 5 მოქმედებიანი მელოდრამა „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“.

✦ კავკასიის წყლების უფროსმა ბ. პეტროვმა, ქალაქის გამგეობის წევრ ენფიანჯიანცთან ერთად, დაათვალიერა ქალაქის **წყლის გამოსაყვანი შენობები** ავჭალაში.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ საქართველოს სამხედრო გზაზედ კარგა **თოვლი მოვიდა** და კიდევაც მოდის. გზა შეკრული არ არის, მარხილები მუშაობენ.

✦ როგორც გვატყობინებენ, სადღესასწაულოდ მუშაობა შეუწყვეტიათ მაიკოპიდან ახალსენაკამდის რკინის გზის ლიანდაგისა; ნათლიღების შემდეგ ისევ შეუდგებიან. დღეს ეს ლიანდაგი ოჩამჩირემდის არის მიტანილი. რკინის გზა იწყება ქალ. მაიკოპიდან, გამოჰყვება მაიკოპის შოსეს, მიატოვებს ქალ. ტუაპსეს ორმოცის ვერსის სიშორეზე, გვერდს გაუვლის სოჩს, გაგრას, სოხუმს, რომელიც განზედ ურჩება რვა ვერსის სიშორეზე, გაივლის დ. ოჩამჩირეში და აქედან გაემართება ახალ-სენაკისკენ, სადაც იგი კიდეც გათავდება. რადგან სოხუმი და გაგრა განზე ურჩება რკინის გზას, განზრახულია სოხუმამდინ რვა ვერსიანი ცალკე შტოს გაყვანა; გაგრა კი შეერთებული იქნება რკინის გზასთან ელექტრონული რკინის გზით ოცდა ორი ვერსის სიგრძეზე. ამ უკანასკნელისათვის უკვე დამზადებულია 60,000 მანეთი.

✦ „პრავიტ. ვესტ.“-ში ვკითხულობთ: „ხელმწიფე იმპერატორმა, თანხმად საერო განათლების სამინისტროს წარდგენილებისა, უმოწყალესად კეთილ ინება **დაუმტკიცება**, ექვსს ამა დეკემბერს, ოზურგეთის ქალაქის სასწავლებლის პირველი კლასის შეგირდათ ნამყოფის აზნაურის მოსე ქყონიასი ვერცხლის მედლით ზედ წარწერით: «განსაცდელში მყოფთა დახსნისათვის“.

✦ მოგვივიდა ძმ. იმედაშვილების გამოცემა **„ცხოვრების სარკე“** პიესების კრებული, წიგნი მეორე. წიგნში, სხვათა შორის, მოთავსებულია პიესები: „ურიელ-აკოსტა“, „უფროსი ძმა“ დოდესი, „ფული და ხარისხი“ აზიანისა, «ოსკან პეტროვიჩი საიქიოს“, სუნდუკიანცისა, „ჭკუისა მჭირს“ ცაგარლისა, „დათვი“ ვოლსკისა, „დედაკაცმა აგვარია“ დ. ნახ—შვილისა; დაბეჭდილია აგრეთვე სცენები, კუპლეტები, ლექსები, წერილები თეატრის შესახებ და სხვა. წიგნში სურათებიც არის; სულ 421 გვერდია და ღირს ერთ მანეთად.

✦ **ტფილისის სამოსამართლო პალატამ** 15 დეკემბერს განიხილა საქმე იობა მჭედლიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია მჭედლიშვილი და გარდაუწყვეტია ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევით პატიმართა გამასწორებელ რაზმში $1^1/_2$ წლის ვადით გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

✦ თიანეთის მაზრიდან გვწერენ, რომ ს. უკანხადოში მცხოვრებს ხახონა ქერაულს სახლში გაუჩნდა ცეცხლი—სწორეთ იმ დროს, როდესაც ყველას ეძინა. ოჯახის პატრონმა ვერაფერი გაიგო, ვიდრე მეზობლები არ მიეშველნენ, დაეწვა მთელი სახლის ავეჯი, 7 სული საქონელი და 26 ძირი თივა. ზარალი 1200 მანეთს აღემატება.

✦ იქიდანვე გვწერენ, რომ ს. ახიელში მცხოვრებ მღვდელს—გიორგი ბალიაურს—გაუტეხეს გომური და მოჰპარეს ცხენი და ძროხა. მღ. ბალიაურის ნათესავები გამოეკიდნენ ქურდებს. თოფის სროლა ასტყდა, რის შემდეგაც ქურდები ტყეში დაიმალნენ.

✦ გორიდან იტყობინებიან, რომ რკინის გზის მოიჯარადრის მუშა, გორის მაზრის სოფელ ნიაბის მცხოვრები, ზაქრო კრიპაშვილი უნდა შემხტარიყო საქონლის მიმავალ მატარებელზე (№ 253), ფეხი აუცდა, ვაგონს ქვეშ ჩავარდა და მარჯვენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის სავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ საარტილერიო ბალკაში მცხოვრებმა სოფიო ლებედევისამ განაცხადა პოლიციის პირველს ნაწილში, რომ პისმა ძმის წულმა ოლღა ნაკტიროვმა და უკანასკნელის საქმრომ, თელავის მცხოვრებმა ბულდან კირაკოზოვმა მომპარესსხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები 118 მან. ღირებულობისა, შემნახველ კასის წიგნი 400 მან. და მომგებიანი ბილეთი 300 მანეთისაო. ბულდან კირაკოზოვი უკვე დამალულა, მაგრამ მალევე ავჭალის ქუჩაზე დაუჭერია პოლიციას; ოლღა ნაკტიროვი გამოტყდა ქურდობის ჩადენაში და განაცხადა, მოპარული ნივთები კირაკოზოვს აქვსო.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში, 13 დეკემბერს, პოლიციის მოხელეთ გაუჩხრეკიათ ბარბალე სტეფანეს ასულის ირემაშვილის სახლი, სადაც აღმოუჩენიათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურიდან მოპარული სხვა-და-სხვა ნივთები, სულ 250 მან. გამოძიებით აღმოჩნდა, რომ ქურდობა ჩაუდენიათ ქთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის მცხოვრებთ სოფ. ხრიხონისისა—სიმონ გოგნიძეს, სოფ. ქისტესისას—ნიკოლოოზ ხომასურიძეს და ს. ვაშხეთისას—ნიკო ტომარაძეს. აღნიშნულნი პირნი პოლიციამ უკვე დააპატიმრა და გარდასცა ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს.

✦ პოლიციის მეორე ნაწილში, 16 დეკემბერს, მეორე გილდის ვაჭარმა ერემია პატუხინმა განაცხადა, რომ მის მაღაზიაში შევიდნენ ვითომდა სავაჭროდ ვიღაც უცნობები და მოიპარეს 14 ოქროსა და 12 ვერცხლის ნივთიო. ბოროტ-მოქმედთა და დაკარგულ ნივთების მოსაძებნად პოლიციამ საჭირო ღონისძიება მიიღო.

შეცდომის გასწორება. «ცნ. ფურ.»-ის 1670 №-ში დაბეჭდილს ბათუმის საბჭოს კრების ანგარიში, რომელშიაც შემდეგი შეცდომა შეგვეპარა: დაბეჭდილია: «ეს ერთი წელიწადია უთავოთ ვიყავით; ზოგიერთები, მაგ., გრ. ოლსკი და პალმი ამბობდნენ... და სხვა; უნდა იყოს: «გრიელსკი და პალმი» და სხვა.

ქუთაისის ახალი ამბები

—

〜 **კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენისათვის** ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბესარიონ ჯანელიძისათვის გარდაუწყვეტია დოსების ჩამორთმევა და ერთის წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ჯანელიძეს ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება განუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელმაც ეს საქმე განიხილა 15 დეკემბერს და ჯანელიძეს 4 თვით ციხეში დაპატიმრებით შეუცვალა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილი სასჯელი.

〜 **ქალაქ ქუთაისში** 30 ათი-ათასზე მეტი მცხოვრებელია, რომელთა უმეტესი ნაწილი ქართველობაა და, რასაკვირველია, ერის ჩვეულებისამებრ დარიბები უნდა იყვნენ. მართლაც ვერსად დედა მიწის ზურგზე ვერ ნახავს კაცი იმოსთანა ღარიბ-ღატაკ მოქალაქეს, როგორც ქ. ქუთაისში. ჩვენის სიტყვების დასამტკიცებლად ურჩევთ მკითხველს გაისეირნოს ქალაქის განაპირა უბნებში, მწვანე ყვავილაში, ჭომაში, საკურეზე და სხვა, სადაც ის ნახავს ჩვენებურ აზნაურებისებურად ხახვარზე შემოშვებულს ეზოს, ბარჯგებზე წამოსკუპულს ოდას, პატარა ურმებს, ერთს ან ორ ზვინ ჩალას და სხვა. ეზოს სხვა-და-სხვა კუთხეებში ან ოდის აივანზე დაინახავთ სასულიერო სასწავლებლის ან სააზნაურო სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც თუთიყუშივით გაიძახიან— чоха есть платіе, платіе. кувшинь есть сосудъ; кувшинъ состоитъ изъ трехъ частей —горлишка, ушка, донишка... მთელ წლიურ ბიუჯეტს ოდის პატრონისას შეადგენს მოსწავლეების მიერ გადახდილი ყოველ თვიური ხარჯი: ოთხი ბათმანი ფქვილი და ნახევარი ბათმანი ლობიო. ამას უნდა დაუმატოთ რამდენიმე მანეთიც შინა მრეწველობის ნაწარმოებით შემოსული; თუმცა, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ეს წყარო შემოსავლისა ქუთათურ შინამრეწველებს ბევრად შეუმცირდა ადგილობრივ გაჭირების წყალობით. თვითოეული შინად მრეწველი დებულობს დღეში ორთა-შუა რიცხვით 4—10 კაპეიკამდე შრომის ფასად, ხანდის-ხან ამასაც ვერ შოულობს და უკიდურეს მდგომარეობაში ვარდება და ცუდს ზნე-ჩვეულებას ითვისებს. სასურველია, ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, ვისაც ჯერ არს. ამ სამიოთხი წლის წინად ქალაქის გამგეობამ ზემოხსენებულ მიზნის მისაღწევად სუბსიდია დაუნიშნა არ. ანჯაფარიძის მიერ დაარსებულ საფეიქროს, სადაც უფასოდ სწავლულობდნენ 40-მდე ღარიბი ქალ-ვაჟი შინად-მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგს, მაგრამ, როგორც მკითხველმა უწყის, ა. ანჯაფარიძის საფეიქრომ სული განუტევა და ეს კეთილი საქმე კი ჯერ-ჯერობით ჩაზუმებულია. იმედი გვაქვს, ახლად დაარსებული ამხანაგობა «კოლხიდას» გამგეობა ხელ-ახლად განაახლებს საფეიქროს და ხელს შეუწყობს გავრცელდეს სოფლელთა და მოქალაქეთა შორის რიგიანი შინად-მრეწველობის საქმე. «კოლხიდამ» ვე უნდა მოაწყოს-რიგოს ნაწარმოების უიდვა-გაყიდვის საქმე და სხვა. ჩვენის აზრით, ამ საქმის განსახორციელებლად უნდა დაეხმაროს კოლხიდას (რომელსაც დამტკიცებული წესდება და შესაფერი ადგილი აქვს ბალახვანში) ქალაქის საბჭო, საურთიერთო ბანკი, სამეურნეო საქველ-მოქმედო და ბავშვების სამზრუნველო საზოგადოებები, დახმარებას გაუწევს აგრეთვე კავკასიის შინად-მრეწველობის კომიტეტი და სხვა.

რუსეთის ქრონიკა

✕ მამა დავითის მთაზე ფუნიკულიარის აშენების საქმემ ახალი მიმართულება მიიღო. ამ ჟამად პეტერბურგში იმის განხილვაში არიან, რომ აქციონერთა საზოგადოება, რომელმაც ფუნიკულერი უნდა გააკეთოს და კოჯორში ელექტრონული რკინის გზა, გაიყვანოს უცხოელ კაპიტალისტებისგან უნდა შესდგეს, თუ რუსებისგან („კავკაზი“).

✕ რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა კრებამ გადაწყვიტა დააარსოს რკინის გზებზე ურთიერთთ პასუხის გება კონდუქტორთა ბრიგადებისა, უკეთუ მატარებლებში აღმოჩნდებიან უბილეთო მგზავრები (ნოვ. ვრემ.).

✕ ამავე გაზეთის სიტყვით, რადგანაც რუსეთის რკინის გზებზე აღმოაჩინეს დიდძალი ყალბი ბილეთი, ამისთვის რუსეთის რკინის გზების მოძრაობის უფროსთა კრებამ საჭიროდ სცნო, გახსნას საკუთარი სტამბა სამგზავრო ბილეთების ბეჭდვისათვის — რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა საზოგადო საკრებულოში.

✕ „რუსკ. ვედომ.“-ს სიტყვით, საერო განათლების სამინისტროში სხვა-და სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან აღძრულა შუამდგომლობა, რომ რუსეთში შემოიღონ საყოველთაო სავალდებულო სწავლა.

✕ ღვთის მეტყველების კანდიდატებისთვის, რომელთაც სწავლა დაამთავრეს სასულიერო აკადემიაში და ერის კაცებად დარჩნენ, ამ დღეებში დაამტკიცეს გულზე სატარებელი ნიშნის ნიმუში. ეს ნიშანი წარმოადგენს დასევადებულს ჯვარს, რომელსაც გარშემო ახვევია დაფნის გვირგვინი („პეტ. ვედ.“).

პრესსა

„ივერიის“ უკანასკნელ №-ში დაბეჭდილია ბ. გოგებაშვილის წერილი გ. იოსელიანის წინააღმდეგ. ამ წერილს შემდეგი შენიშვნა ახლავს:

> „ეს წერილი გავგზავნეთ დასაბეჭდად „ცნობის ფურცელში“, სადაც აღიბეჭდა წერილი ბ-ნი იოსელიანისა. რედაქცია ჩავარდა საგონებელში და რამდენსამე დღეს ვერ გადასწყვიტა ვერც დაბეჭდვა და ვერც დაუბეჭდელობა ბოლოს უარი შემომითვალა, ალბად ამ მოსაზრების ძალით: ეს წერილი ბ-ნი იოსელიანის ციტატებით ჩვენც გვამტყუნებს, უკანასკნელს პოზიციას გვართმევს და ცილის მწამებლებად გამოვდივართ ჩვენის მკითხველების თვალში და ისიც რა დროს? როდესაც ხელის მოწერა გაზეთებზე იწყობაო“.

უნდა ვაუწყოთ ბ. გოგებაშვილს, რომ მისი წერილი ჩვენ არც წაგვიკითხავს. რედაქციას ის იმ დროს მოუვიდა, როდესაც სრულიად ადგილი არ გვქონდა და იძულებული ვიყავით ზოგიერთ სავალდებულო განყოფილებათა ბეჭდვაც შეგვეჩერებინა იმ დრომდე, სანამ სასამართლოსა და თავადაზნაურობის კრების ანგარიშებს დავათავებდით. მის პასუხს ჩვენ უთუოდ დავბეჭდავდით, მაგრამ არ დაგვაცალა და რამდენისამე დღის შემდეგ შემდეგის სასტიკის ულტიმატუმით მოგვმართა: „თუ ამ ორის დღის განმავლობაში არ გწადიანთ მისი დაბეჭდვა, კეთილ ინებეთ და ახლავე უკან დამიბრუნეთ“. ასეთ ულტიმატუმის შემდეგ ჩვენ მეტი გზა არ გვქონდა, წერილი უნდა დაგვებრუნებინა. რაც შეეხება ბ. გოგებაშვილის იკლიკანტურს შენიშვნას, ვითომ ჩვენ შეგვაშინა მისმა პასუხმა, რადგან პოზიციას გვაკარგვინებდა, უნდა ვთქვათ, რომ ბ. გოგებაშვილი ძრიელ აჩქარებულა: ჯერ კიდევ ადრეა გამარჯვებაზე ლაპარაკი; ჩვენს პორტფელში მეტად საყურადღებო წერილები გვაქვს და მათის დაბეჭდვის შემდეგ უფრო ნათლად გამოირკვევა, ვინ „ჰკარგავს უკა-

ნასკნელს პოზიციას და ვინ გამოდის ცილის მწამებლად“...

* * *

არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი ხელოსნობისა და შინამრეწველობის სამწუხარო მდგომარეობის შესახებ და შეგვინიშნავს, რომ ამის უმთავრესი მიზეზია—ხელოსანთა და შინამრეწველთა ნაწარმოების ვაჭრობის მოუწყობლობა; ამ მრეწველობას ძირს უთხრის და მის ზრდა-განვითარებას ხელს უშლის, სხვათა შორის, ჩარჩობა. შინამრეწველი და ხელოსანი ბაზარს ვერ ჰპოულობს და მომხმარებელთან პირდაპირ საქმეს ვერ იჭერს; მათ შორის ჩამდგარა ჩარჩი, რომელსაც ყმად გაუხდია მრეწველიც და მომხმარებელიც .. ბოლოს დროს გაზეთები ბევრსა სწერენ ამ საქმის გამო და ურჩევენ მთავრობას ყურადღება მიაქციოს შინა-მრეწველთა ნაწარმოების ვაჭრობის მოწყობას. „ნოვ. ვრემია“-ს მაგალითად მოჰყავს გერმანია, სადაც მთავრობას კიდეც უზრუნვია ამისათვის.

„შინა-მრეწველობის განვითარების საქმე, სწერს გაზეთი, დავალებული აქვს რუსეთში მიწად-მოქმედების სამინისტროს. უკანასკნელის საქმეს ვერ შეადგენს, რასაკვირველია, შინა-მრეწველთა ნაწარმოების ვაჭრობის ორგანიზაცია. ამიტომ ჩარჩების მოღვაწეობას დღემდის ჩვენი მთავრობა არავითარს ყურადღებას არ აქცევდა. სულ სხვა რიგად უყურებს ამ საქმეს გერმანიის მთავრობა. ჩარჩების მოქმედება იქ კანონით არის გაწესრიგებული. იქ არსებობს განსაკუთრებულ ინსპექტორთა თანამდებობა, რომელთა მოვალეობაა თვალ-ყური ადევნონ მრეწველთა და ჩარჩთა ურთიერთობას, სახელოსნო და შინა-მრეწველობის ნაწარმოებით ვაჭრობას. ყველგან აქვთ ხაზინისაგან შემოწმებული და შეკრული დავთრები, სადაც იწერება ხოლმე—რა ფასად გაიყიდა ესა თუ ის ნაწარმოები... ჩვენებურ მიწად-მოქმედების სამინისტროს შეუძლია იზრუნოს თვის წარმოების გაძლიერება-გაუმჯობესებისათვის, ხოლო ყიდვა-გაყიდვის საქმის მოწყობა უმჯობესი იქნება ფინანსთა სამინისტროს ჩაებაროს. საჭიროა მან შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი ჩარჩობის წინააღმდეგ“.

* * *

ბოლო ხანებში რუსეთშიაც ნელ-ნელა ფეხს იკიდებს მუშათა კლუბი. აქა-იქ განზრახვა დაიბადა ამგვარ დაწესებულებათა დაარსების შესახებ, ზოგან კიდეც დააარსეს. გაზეთ „კურიერ“-ს მიჰყავს, მაგალითად, ცნობები მოსკოვში ახლად დაარსებულის მუშა-ქალთა კლუბის შესახებ.

„ეს კლუბიო, ვკითხულობთ „კურიერ“-ში, არსებობს ორის ფაბრიკის მუშა ქალებისათვის, მაგრამ იქ წევრებად სხვა ფაბრიკების მუშა ქალებსაც სიხარულით იღებენო. საგანგებოდ დაქირავებულს სახლში ყოველ კვირა დღეს იკრიბებიან მუშა ქალები და ინტელიგენტ-ქალების ხელმძღვანელობით თავს იქცევენ კითხვით, მუსიკით, ხელ-საქმით, ცეკვა-თამაშით და სხვა, ვისაც როგორ უნდა. იქვე შეადგინეს ხორო, რომელიც ნოტებით სიმღერას სწავლობს; იქვე სწავლობენ მუსიკას და სხვა... მხურვალედ ვეგებებით ამ კეთილ საქმეს და გვრწამს მისი მშვენიერი და ნაყოფიერი გავლენა მუშებზე. ვურჩევთ მხოლოდ მის მეთაურ-ინტელიგენტებს—საქველმოქმედო ხასიათს ნუ მისცემენ ამ დაწესებულებას და თვით მუშა ქალებს აწარმოებინონ საქმე“...

თეატრი

ქართული თეატრი

„ბორკილი“, სუმბათაშვილისა და „რაც არ მერგება, არ შემერგება“.

„ბორკილი“ დიუმასებური drame à thèse-ია. ამიტომაც ცოცხალი, სინამდვილიდან ამოგლეჯილი ტიპი ამ დრამაში ძალიან ცოტაა და ისიც არა უმთავრესი. ვოლინცევის ახალგაზდა ქალი ანნა (ლეჟავა), ანფისა გარანინისა (ჩერქეზიშვილისა), არინა ვოლინცევის ცოლის დედა, (ნ. გაბუნია), ანდრია ხვოროსტნევი—აი ვინ არიან ამ დრამაში ცოცხალი ტიპები და არტისტებმაც ცოცხლად და კარგად შეასრულეს თავიანთი როლები. ჩერქეზიშვილისა სწორედ შეუდარებელი იყო ანფისას როლში. ჩვენ არ გვახსოვს, რომ ეს არტისტი ქალი არა ჩვენებურ პიესაში ასე კარგი ყოფილიყოს. აგრეთვე კარგი იყო გაბუნიას ქალიც არინას როლში. ლეჟავას ქალმა სინამდვილით და გრძნობით ითამაშა გულ-უბრყვილო, მაგრამ მდიდარ გრძნობის საშუალებით ბევრის მიმხვდარ ანნას როლი. განსაკუთრებით გრძნობიერად ჩაატარა ლეჟავამ მესამე მოქმედების ის სცენა, როდესაც ანნა პირველად ხვდება ბავშვობიდან დანატრებულ დედას.

გედევანოვის თამაში გადაუჭარბებელ კომოსმით იყო სავსე. განსაკუთრებით, როცა დიპლომატი ხვოროსტნევი დამარცხებული ბრუნდება ვოლინცევის ცოლის სადგომიდან: ამ სცენაში გედევანოვი და ჩერქეზიშვილისა ორივე მშვენიერები იყვნენ. ასე კარგად ვერ გამოუვიდა გედევანოვს თვით დიპლომატიური ბრძოლა ვოლინცევის ცოლთან.

გუნია შეგნებულად და გრძნობით ასრულებდა სერგეი ვოლინცევის როლს; ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა იგი თავის დამღუპველ და შეურაცხმყოფელ ცოლთან დიალოგების დროს; ხმა ემორჩილებოდა სავსებით და მაღელვებელ გრძნობასაც სინამდვილით ხატავდა.

მეტად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს კ. მესხის სცენაზე ისევ გამოსვლა; არის როლები, რომელთაც მის მეტი ჩვენს სცენაზე ჯერ ვერვინ შეასრულებს. ერთი ამ როლთაგანია პრაპორიევის როლიც. პრაპორიევი მდიდარ ცხოვრებასა და განცხრომას მიჩვეულია; ამგვარ ცხოვრებისათვის იგი მზად არის ყველაფრისათვის, გარდა პატიოსან შრომისა. და რადგანაც ცხოვრებამ იგი გამოსცადა და გაცვითა და ბუნებითაც მოხერხებული კაცია; პრაპორიევს ბევრი, რასაკვირველია, სიცუდის მოხერხება და ჩადენა შეუძლია დაუსჯელად. მას არ სჯერა არავისი, განსაკუთრებით ქალის, პატიოსნება და სიწმინდე; იგი გულწრფელად დასცინის ყოველ იმას, რასაც პატიოსნებისა და რიგიანობის სახელი ჰქვია, თუმცა გარეგნად სხვების თვალ-ასახვევად, იგი ჯენტლმენია. კ. მესხიც სწორედ ასეთი იყო კვირის წარმოდგენაში და საზოგადოებამაც დააფასა მისი ასეთი თამაში.

არა უშავდა რა გამყრელიძეს გენერალ კურჩინის როლში ღ არც ქ. მდივანს კურჩინის ცოლის როლში.

კარგარეული და ნებიერიძე არც ერთი თავის ადგილას არ ყოფილა და ანსამბლიც დაარღვიეს, მით უმეტეს, რომ დიდი და პასუხსაგები როლები ჰქონდათ.

სამაგიეროდ შეუდარებელი ანსამბლი იყო ვოდევილის წარმოდგენის დროს. „რაც არ მერგება, არ შემერგება“ ისედაც მხიარული პიესაა და ჩვენის აღმსრულებლების წყალობით კი ერთი ორად უფრო მხიარული გახდა. საზოგადოების სიცილსა და სიამოვნებას საზღვარი არ ჰქონდა. ტასო აბაშიძემ და შათირიშვილმა თავიანთ თავს გადააჭარბეს, განსაკუთრებით პირველმა. უკეთ ნინოს როლის შესრულება ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია. ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძე, აწყურელი, ურუშაძე ყველა მშვენიერები იყვნენ და სავსებით ღირსნი იმ გატაცებულ ტაშის კვრისა, რომლითაც საზოგადოებამ ისინი დააჯილდოვა.

რეცენზენტი.

კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა კრება

კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წესდების პროექტის განსახილველად კვირას, 16 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში შეიყარნენ ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი ასე 20 კაცამდე. რადგანაც წესდების განხილვას ასე ცოტა ხალხი დაესწრო, ბ-ნმა ელიავამ განაცხადა, რომ კარგი იქნება, ეს სხდომა შემდეგი კვირისათვის იქმნას გადადებული, რომელ დროისათვისაც გამოქვეყნდეს ადგილობრივ გაზეთებში სხდომის შესახებ, რომ მეტნი დაესწრნენ და პროექტის ყოველ მხრით განხილვაში მეტმა მიიღოს მონაწილეობა. ამას მიემხრნენ სხვებიც, მაგრამ კრებამ ერთის ხმის უმეტესობით საჭიროდ დაინახა ამავე სხდომაზე შესდგომოდნენ პროექტის განხილვას.

კრებამ მოასწრო მხოლოდ 22 მუხლის განხილვა. საგანი განზრახულ საზოგადოებისა ის არის, რომ ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს შეუძლო წევრებს და მათ დაობლებულ სახლობათ. საზოგადოების წევრებად შეუძლიათ იყვნენ კავკასიაში მცხოვრებნი ლიტერატორები და სხვა მოღვაწენი ბეჭდვითი საქმისა, მაგ., ასოთ-ამწყობნი, სტამბის პატრონები და სხვა. კრებაზე კამათი გამოიწვია ბ-ნ ვ. სურგულაძის განცხადებამ იმის შესახებ, რომ პროექტის მე-9 მუხლი შეიცვალოს, ესე იგი, საწევრო შემოსატან ფულის ერთი გარდაწყვეტილი რიცხვი იქმნეს, მაგ. 50 კ., ხოლო ნუ იქნება, როგორც ამ მუხლშია, 50 კ., 1, 3 და 5 მან. და ამისდა მიხედვით საზოგადოების წევრთა ხარისხებად დაყოფა. კრება არ დასთანხმდა ამ გარდაწყვეტილებას და ეს მუხლი შესცვალა ასე: საწევრო ფული თვიურად იქნება 25 კ., 50 კ., 1 და 3 მ. 11 მუხ. რომლის ძალითაც ვინც 3 თვეზე გადაცილდება საწევრო ფულის შემოტანას, საზოგადოებიდან გამოსულად უნდა ჩაითვალოს, შეიცვალა, ასე, რომ 3 თვის მაგივრად დაწესებული იქმნება 6 თვე. კარგა ხანს კამათი გამოიწვია მე-12 მუხლმა. იქ არის ნათქვამი, რომ ვინც საზოგადოების წევრობას თავს დაანებებს, მას აღარ ექნება უფლება ისარგებლოს საზოგადოებისაგან შემწეობით და აგრეთვე ხელს აიღებს იმ საწევრო ფულზე, რომელიც საზოგადოებაში რამდენიმე ხნის განმავლობაში წარუდგენია. ზოგიერთები აცხადებდნენ, არც იურიდიული და არც ზნეობრივი უფლება არ ექნება საზოგადოებას, რომ წევრმა საზოგადოებას, რაიმე საპატიო მიზეზით, თავი დაანებოს და მას მისი საწევრო ფული დაეკარგოსო და ამიტომ ეს მუხლი უსათუოდ უნდა შეიცვალოსო. კრებამ არ მიიღო ეს მოსაზრება და დასტოვა მე-12 მუხლი ისევ ისე შეუცვლელად, როგორც პროექტშია კომისიისაგან შემუშავებული. 23 მუხლამდე რომ ჩავიდნენ, ზოგიერთმა წევრებმა კიდევ ითხოვეს კრების გადადება და სხდომა გადაიდვა შემდეგ კვირას, 23 დეკემბრისათვის.

ტფილისის სამოსამართლო პალატა

გამგეობის წევრთა გასამართლება.

12 დეკემბრის სხდომა

პროკურორის ამხანაგის შემდეგ პირველი სიტყვა წარმოსთქვა ხ. ა. ვერმიშევის დამცველმა, **ნაფიც ვექილმა კრასოვსკიმ,** რომელმაც შემდეგი სთქვა: „ბ-ნო მსაჯულნო! ბრალმდებელი ამტკიცებს, რომ ჩემი მრწმუნებელი ბ-ნი ვერმიშევი, როგორც წევრი გამგეობისა, თავის მოვალეობის ასრულებაში დაუდევარი და უზრუნველი იყო, ეს ბრალად დაადო და იმის მსახურება სრულიად კოტრად გამოიყვანა. ასეთი დასკვნა, მგონია, ისეთისავე მოსაზრებით უნდა იყოს გამოყვანილი და ისე დაფუძნებული, როგორც ვისამე კოტრად გამოყვანა ვალების გამო, იმიტომ რომ მოსამსახურე, რომელიც თავის მოვალეობას არ ასრულებს და მოვალე, რომელიც თავის ვალს არ იხდის, ამ შემთხვევაში ადვილად შეგვიძლია ერთმანერთს დავუახლოვოთ და ამათ შორის შედარება გავატაროთ. მე მგონია, ბრალმდებელს, ჯერ უნდა ბ-ნი ვერმიშევის ნამდვილი საქმიანობა დაეხატა, რაოდენობა იმისი, რაც გაუკეთებია, და მხოლოდ ამის შემდეგ თუ შევიტყობდით, რომ ცოტა გაუკეთებია, თუ არა საკმაო, ან არა და პირიქით, უმეტესი ნაწილი იმისა, რაც ვალად ედვა, არ შეუსრულებია, ან თუ შეუსრულებია—ისიც ცუდათ და მხოლოდ ყველა ამის შემდეგ უნდა გამოეყვანა თავის უკანასკნელი დასკვნა. ამ შემთხვევაში ბრალმდებელი სრულებით სხვა ნაირად მოიქცა: ბ-ნი ვერმიშევის ნამსახურის ვალები გულ დაჯდომით და სავსებით უანგარიშნია, მაგრამ ამ ნამსახურობის შემოსავალი, ე. ი. ყოველივე, რაც ცხადათ ამტკიცებს იმის საქმიანობას, განზე დაუტოვებია, თითქოს არც კი ყოფილიყოს სრულებით, თითქოს ბ-ნი ვერმიშევი თითქმის ორი წლის მსახურების დროს მხოლოდ განცხრომაში იყო, თუმცა ნამდვილად კი იმის სამსახურის საქმიანობა, თავის რაოდენობითაც და თავის ღირსებითაც, იმდენად ბევრია, რომ გაოცებაში მოჰყავს კაცი და არ იცის, საიდან ჰქონდა ამდენი ან ღონე ან ენერგია, რომ ეს საქმეები დაეძლია.

უპირველესად ბ-ნ ვერმიშევს ბრალად ედება სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ნაკლი და იქაური უწესოება. ამ შემთხვევაში ბრალმდებელი ცდილობს ისეთი პრინციპი იხმაროს, რომელიც იმისისავე შეხედულებით, სამართლიანობას არ შეეფერება. ეს სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყოველი დამნაშავე პასუხის მგებელია თავის მოქმედებისა, თუნდაც იგი კოლეგიის წევრიც იყოს. ასეთი უეჭველი აზრი გატარებულია თვით საქალაქო დებულებაში და დანაშაულობათა დებულებაშიაც, მაგრამ ბრალმდებელმა მაინც მოისურვა ამის დარღვევა სენატის ერთი უმნიშვნელო გადაწყვეტილებით. ეს გარდაწყვეტილება შეეხებოდა ერთ სააქციონერო საზოგადოების დირექტორებს, რომელთაც ბრალი ედებოდათ სასანიტარო წესების დარღვევაში; ეს შემთხვევა ახლოსაც არ მოდის ეხლანდელთან, იმიტომ რომ იმ საზოგადოების წესდება არ ჰყოფდა დირექტორების მოვალეობას, აქ კი თვითონ კანონი ამბობს, ქალაქის დებულების მე-98 მუხლი, რომ გამგეობის წევრთ უნდა გაინაწილონ ერთმანერთში უმთავრესი ნაწილები ქალაქის მეურნეობისა, ასე რომ არავითარი ამათ საერთო პასუხის გებაზე ლაპარაკიც არ უნდა იყოს აქ. მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება გამგეობის წევრნი ერთიანად პასუხის მგებელნი იყვნენ—ეს მაშინ, როცა ყველა ისინი ერთად რასმე დაადგენენ ან გადაწყვეტენ. ამ მხრით ჩვენ მოვალენი ვართ პასუხი ვაგოთ იმ ბრალდებაში, ვითომ შეცდომითი ცნობა მიგვეცეს გუბერნატორისათვის ტფილისის ვალების შესახებ. მაგრამ ჩვენ იმაში არ ვიმართლებთ თავს, რატომ ამდენი და არა ამდენი შემოსავალი შემოუვიდა ქალაქს, სახლებზედ გაწერილი ფული რად დარჩა იმდენი გადაუხდელი. ამის პასუხი ჩვენ ერთი გვაქვს—„იმიტომ რომ ეს ნაწილი ჩვენს ხელში არ იყო და ნებაც არ გვქონდა ამაში ჩავრეულიყავით“. აი ეს არის პირველი რიგი იმ ვალებისა, რომელიც ბ-ნ ვერმიშევის დებეტიდან უნდა გამოირიცხოს.

ტფილისის თვით-მმართველობას **1897** წელს კი არ დაუწყია თავის არსებობა, ესე იგი, როცა ბ-ნი ვერმიშევი გამგეობის წევრობაში ჩადგა, არამედ ბევრად უფრო ადრე—1875 წელს. მაშასადამე, ამ თანამდებობაზე ბ-ნ ვერმიშევამდე საზოგადო მოღვაწეთა აუარებელ რიცხვს უმუშავნია. საქალაქო თვით-მმართველობა მისის რთულის, ნაწილ-ნაწილებად შემდგარის მექანიზმით, დაფუძნებულა ბ-ნ ვერმიშევამდე, მერე ისე დაფუძნებულა, როგორც ადამიანის ყოველივე დაწესებულება, იდეალისაგან ბევრად შორს ჩამორჩენილი. ყოველ შემთხვევაში, ის საყვედურები, რომელსაც ამ ჟამად ბრალდებულს უცხადებენ, ერთიანად შეიძლება ვუძღვნათ გამგეობის წინაპართაც. თუ გასამართლებულ გამგეობას არ ჰქონდა არც დამტკიცებული პლანი ქალაქისა, არც კარგი ინვენტარი და სწორი ბუხჰალტერია, ალბად, იგივე ნაკლი ჰქონდა ამის წინაპარსაც. აქედენ ცხადად გამოდის, რომ თუ ქალაქის ეხლანდელ მეურნეობაში რაიმე ნაკლია, ამის ბრალი არა უკანასკნელ შთამომავლობას უნდა დაედოს, რომელმაც მემკვიდრეობით მზა-მზად მიიღო ეს მეურნეობა,—შესაძლებელია ძალიან შელახულიც—თავის მამებისაგან, პაპებისაგან, თუ პაპის პაპებისაგან ქალაქის თვით-მმართველობის მსახურობაში. ამ გვარად საზოგადოდ ამ გამგეობისა და კერძოთ ჩემი მარწმუნებელის დებეტში კიდევ სხვისი ვალებია შეტანილი, რომელიც ამათ წინა-მოადგილეთ ეკუთვნით.

მაგრამ ყველაზე უფრო გასაოცარი ამ საქმეში ის არის, რომ ბ-ნ ვერმიშევს სხვის ცოდვებს აწერენ, იმათ ცოდვებს, რომელნიც აქ მოწმებად წარმოსდგნენ, მაშინ როდესაც ბ-ნი ვერმიშევი ბრალდებულის სკამზე ზის: ჩემს მრწმუნებელს ბრალსა სდებენ იმაში, რომ ზოგიერთი დოკუმენტი დაუკარგავს, მაგალითად, ანგარიში კალვეიტისა და შულცისა და პირობა ჩიჯავაძისა. მერე პირველად როდის აღმოაჩინეს ამათი დაკარგვა?—1899 წლის მეორე ნახევარში, როცა ეს ქაღალდები გამომძიებელმა მოსთხოვა გამგეობას. ამ დროს კი ბ-ნი ვერმიშევი არც კი ყოფილა სამსახურში, რადგან უკვე დათხოვნილ იყო მთავრობისაგან, ბევრად უფრო ადრე—1898 წლის ნოემბრის თვეში და არაფრით არ დაუმტკიცებიათ ჯერ, რომ ეს ქაღალდები სწორედ ამის დროს დაიკარგა. არ ვიცი, რა საბუთით აბრალებენ ამ დაკარგვას ბ-ნ ვერმიშევს.

ბრალმდებელი იმ ბრალს სდებს კიდევ ბ-ნ ვერმიშევს, რომ 1899 წლისათვის ხარჯთაღრიცხვაში ქალაქის მოიჯარადრეთა სია ნამდვილად არ იყო შედგენილიო, მაგრამ არც ამ აღრიცხვაში ჩემ მრწუნებელს არა-

ვითავი მონაწილეობა არ ჰქონია სწორედ იმავე მიზეზით—სამსახურიდან დათხოვნის გამო—და პასუხის მგებელიც არ შეიძლება იყოს.

არც იმის ბრალი უნდა დაედოს ბ-ნ ვერმიშევს, ვითომ გუბერნატორისათვის კუკიის ადგილების შესახებ ნამდვილი ცნობა არ წარუდგენია, 4 დესეტინა ნამდვილზე ნაკლები უჩვენებია.—ესეც წინამოადგილეთა ბრალია, რადგან გუბერნატორს წარუდგინეს 1899 წლის 25 აგვისტოს და ამ დროს ბ-ნი ვერმიშევი, როგორც ვიცით, დიდი ხანია სამსახურიდან დათხოვნილი იყო.

ამ გვარად ბ-ნ ვერმიშევის ნამსახურების პასივიდან ბევრი წილი უნდა გამოვიდეთ, რადგან ისინი თუ იმის ამხანაგებს ეკუთვნის, თუ იმის წინამოადგილეთ ან მემკვიდრეთ—და არაოდეს არა ბ-ნ ვერმიშევს.

ახლა სწორედ ის დანაშაულობანიც გავარჩიოთ, რომელნიც შესაძლებელია ბ-ნ ვერმიშევს მივაწეროთ, თუმცა იმათი ძალაც და სინამდვილეც საეჭვონია. დამცველმა დაწვრილებით გაარჩია ბრალდება ვერმიშევისა იმაში, რომ 1) არ მიიღო საშუალება ინვენტარისა და ქალაქის პლანის შედგენაში, 2) დაუდევრობა აღმოუჩნდა საალმშენებლო საქმეებში და ამის ანგარიშებში და 3) გუბერნატორს არა მართალი ცნობა წარუდგინეს ქალაქის ფულებისა და შემოსავალის შესახებ—და ბოლოს ამ სიტყვებით განაგრძო:

„საალმშენებლო ნაწილი ბ-ნმა ვერმიშევმა ისე მიიღო, რომ იქ არავითარი წიგნები არ ყოფილა ანგარიშებისათვის, ესენი მხოლოდ თვითონ თავის ნებით შემოიღო, სამი წიგნი იყო. მანამდე საალმშენებლო ნაწილის შესახებ არავითარი ინსტრუქცია არ ყოფილა გამოცემული, ბ-ნმა ვერმიშევმა კი ისევ თავისის მოსაზრებით ამის შესახებ ვრცელი პროექტი დასწერა. ის ხომ მოვალე არ იყო საკანცელარიო ქაღალდები ეწერა, რადგან ამისათვის ცალკე საქმის მწარმოებელი ჰყავდა, მაგრამ იმას თავის ხელით მაინც წეს-რიგში მიჰყავდა საქმეები, როცა საბჭომ დაავალა ტრამვაის საქმე მოაწყო, გამგეობაში მუშაობისაგან სრულებით გაანთავისუფლა ბ-ნი ვერმიშევი, რომელსაც შეეძლო ნახევარი წელიწადი იქ არ ემუშავნა, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ იგი წინანდებურად გულიანად აგრძობდა იქ თავის შრომას. მგონია, რაც ჩამოვთვალეთ, ისიც საკმარისია, რომ ვსთქვათ, რომ ბ-ნი ვერმიშევი არ ყოფილა უსაქმოდ და ხელ-დაკრეფილი არ მჯდარა. მაგრამ იგი უფრო შორს წავიდა. თავისს ორი წლის მსახურების დროს მან დასწერა მთელი რიგობა ვრცელ მოხსენებათა ისეთ საგნებზე, რომელიც ქალაქის უმთავრეს საჭიროებას შეადგენდნენ. მოწმეებმა ამის შესახებ აქ აღიარეს, რომ ეს მოხსენებანი ისეთი საუცხოო რამ იყოო, რომ ტფილისის საბჭოში წინათ არ გვენახაო. კმარა ერთი თვალი გადაავლოს კაცმა, რომ დარწმუნდეს, რა საბუთიანად აფასებენ ესენი ამ შრომას. განსაკუთრებით თქვენ ყურადღებას, ბ-ნო მსაჯულო, ბ-ნ ვერმიშევის იმ მოხსენებას მივაქცევ, რომელიც ტრამვაის გამოსყიდვასა და ქალაქის მიერ მართვა-გამგეობას შეეხება, რადგან ტფილისმა ამ მოხსენების წყალობით დღეს შეიძინა სამი მილიონი მანეთი: როცა უსახელო საზოგადოებამ ქალაქთან პირველად ჩამოაგდო ტრამვაის კიდევ ახალ ვადით აღება, ამ საზოგადოების წარმომადგენელმა ისეთი პირობები წარმოადგინა, რომ სრულებით ხელს არ აძლევდა ქალაქს და დარწმუნებული იყო, ამას ვერავინ მიმიხვდებაო. მართლაც ესე მოხდა, რადგან საბჭოში საკმაო რიცხვი ხმოსანი აღმოჩნდა, რომელთაც ამ პირობის მიღება მოისურვეს, მაგრამ ამას წინააღუდგა ბ. ვერმიშევი, რომელმაც დანამდვილებით გაიცნო ტრამვაის შემოსავალი დ დარწმუნდა, რომ ქალაქი გაცილებით დიდ შემოსავალს მიიღებს, თუ ტრამვაი საზოგადოებიდან გამოიყიდა დ თითონ აწარმოვა. როცა ტრამვაის საზოგადოების წარმომადგენელმა დაინახა, რომ ისეთ კაცთან აქვს საქმე, რომელიც ქალაქის ინტერესებს არავის გააქელვინებს, დაუწყო დათმობა და აი რა ბოლო მოჰყვა ბ-ნ ვერმიშევის ამ საქმეში და საზოგადოებასთან მოლაპარაკებას: უსახელო საზოგადოებამ ჯერ შეაძლია 400 ათასი მანეთი 45 წლის იჯარისათვის, მერე მოკლე ხანში ერთი მილიონი შეაძლია, ამ ჟამად კი საზოგადოება პირობით შეკრულია მხოლოდ 31 წლითა და მოვალეა ქალაქს წელიწადში 50 ათასი მანეთი აძლიოს. ახლა მიუმატოთ ამას იმ ქონების ფასი, რომელიც უნდა ქალაქს 31 წლის შემდეგ დარჩეს, და თვითონ თქვენ დაინახავთ, რომ ბ-ნ ვერმიშევის წყალობით ქალაქმა შეიძინა 3 მილიონი მანეთი. სწორედ ამ ჰკუიან, სავსე ღონით მშრომელს და საზოგადო მოღვაწეს ამტყუნებენ იმაში, რომ მან დაუდევრობა გამოიჩინა მხოლოდ იმით, რომ იგი არ ზრუნავდა კაპეიკებზე და ქუჩა-ქუჩა არ ითვლიდა რიყის ქვებს.

ამაზედ არ შეჩერებულა ბ-ნი ვერმიშევის შრომა—იმან შეიმუშავა ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განათდეს ქალაქი ერთსა და იმავე დროს ელექტრონითა და გაზით. ამისათვის საჭირო შეიქმნა გაცნობოდა და გაიცნო კიდეც, როგორ ანათებენ რუსეთისა და ევროპის დიდ ქალაქებს და, ამ საქმის შესახებ ტეხნიური მწერლობაც. მაგრამ არ დაცალდა ამ საქმის განხორციელება, რადგან ბ-ნი ვერმიშევი სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა, მაგრამ თუ ტფილისელები მოკლე ხანში ელექტრონის სინათლეს შეიძენენ, ეს ღვაწლი სავსებით იმას უნდა მიეწეროს, რადგან „გელიოსი"-ის საზოგადოებასთან მოლაპარაკება რომ აქვს ამ ჟამად ქალაქს, საფუძვლად სწორედ ბ-ნ ვერმიშევს პროექტი უძევს.

თუ ქალაქი ამ ჟამად აღარ არის იმის შიშში, რომ უწყლოდ დავრჩებით, კიდევ ბ-ნ ვერმიშევის შრომა-მეცადინეობის მადლობელი უნდა ვიყოთ, რადგან თეორიულის გამოკვლევითაც და წყლის მილის საჭიროებისათვის შენობების აგებაში თავის მონაწილეობითაც საკმაოდ კარგად დააყენა ქალაქში წყლის მოტანის საქმე.

როგორც ჰხედავთ, ბ-ნო მსაჯულნო, ბ-ნ ვერმიშევის ნამსახურობის აქტივი მართლაც დიდია, მარტო იმ „სიმშვენიერით" არ თავდება, რომელსაც ასე ოხუნჯობით იხსენიებს ბრალმდებელი და თუ ვისიმე სახელი შესტანია ქალაქის თვით-მმართველობის არსებობის ისტორიაში, ეს იმის სახელი უნდა იყოს. მაშ, რაშია იგი დამნაშავე რა დანაშაული მიუძღვის კანონისა და საზოგადოების წინაშე? ალბად, მხოლოდ ის დანაშაული, რომ იმის დროს აჰყვავდა და, შესაძლებელია, დაჰქნა, ოქროს ხანა ტფილისის თვითმმართველობისა".

(შემდეგი იქნება)

ოზურგეთის ქსენონი

ოზურგეთის ყოფილი ქ. თავის თავ. ნ. ყ. თავდგირიძის მეთაურობით ამ სამი წლის წინად ქ. ოზურგეთში საბჭოს ერთ ოთახში გამართულ იქმნა მომსვლელ ავადმყოფთათვის საექიმო დახმარება. მოწვეულ იქმნა ერთი ექიმი და ერთი ფერშალი. ამ საავადმყოფომ, ან, როგორც ადგილობრივ ეძახიან, „უპრავის ბოლინცამ" დიდი სახელი მოიხვეჭა მთელ გურიაში. ავადმყოფთა რიცხვი დღით-დღე მატულობს. ჩვენ ხელთ გვაქვს ამა წლის 1 იანვრიდან 10 დეკემბრამდე თუ რამდენს უსარგებლია. გასინჯულა სულ 3142 ავადმყოფი, ამათში 500 პეტს უფასოდ უსარგებლია (ისე ფასი აბაზია), ორი წილი ამათში მოწაფენია, რომელთაც არას ახდევინებდნენ. საჭირო საექიმო მოწმობა გაუცია 72, მათში უფასოთ 21. მთელი შემოსავალი კი ყოფილა 584 მან. და 40 კ. სამს თავის სურვილით გადაუხდია ამბულატორიის სასარგებლოთ თითო მანეთი. ნუ-თუ ეს ციფირი არ ღაღადებს, თუ რამდენად საჭირო ყოფილა ოზურგეთისათვის ასეთი დაწესებულება. რასაკვირველია, დიდად საჭიროა არამც თუ ოზურგეთისათვის, არამედ მთელი გურიისათვის და მეტადრე კი მის მახლობელ სოფლელთათვის. იგივე დავთარი, საიდანაც ჩვენ ეს ციფირები ამოვკრიბეთ, გვიმტკიცებს, რომ გურიაში არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, რომ იქაურს ავადმყოფს ქალაქის ექიმით არ ესარგებლოს. მეტადრე უსარგებლია დვაბზუს, ლეხაურს, შემოქმედის და ბახვის საზოგადოებათ, ოზურგეთზე მეტია, რასაკვირველია. დღითდღე ავადმყოფთა რიცხვის ზრდას მოჰყვება ის, რომ ერთი ექიმი ვერ აუვა ამდენ ავადმყოფს ისიც ასე მცირე სასყიდლით (50 მან. თვეში უბინაოდ ამათ კერძო „პრაქტიკა" ხომ აღარ იანგარიშება, რადგან დრო არ რჩებათ. ფერშალს კიდევ ეძლევა 12 მან.) ნუ-თუ უმჯობესი არ იქნება, რომ ოზურგეთს მისი მახლობელი 3—4 საზოგადოება შეუერთდეს და მოწვეულ იქმნას კიდევ მეორე ექიმი და ამბულატორიის მოქმედება გაფართოვებულ იქმნას. მასთან ნუ-თუ სიცხვილი არ არის გურული ფხიზელი ხალხისთვის ასე ფერშლების გაბატონება სოფლად. როგორც, ვიცით, ეხლა ქიზიყის დ იმერეთის სოფლებიც კი იარსებენ კერძო ქსენონს და ნუ-თუ გურიისათვის სირცხვილი არ არის ჰქონდეთ მხოლოდ ერთი ქსენონი (ჩოხატაურის) და ისიც არა ყველასათვის დასამხარ ადგილას? ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ქ. ოზურგეთს შეუერთდება ზედ მოდებული საზოგადოებანი და ქ. ოზურგეთში დაიარსებენ ქსენონს და ექიმ-ფერშლის შრომასაც უფრო ღირსეულად დააფასებენ, ვიდრე ეხლა.

ურიგო არ იქნება, რომ ხსენებულ ხარჯში მონაწილეობა მიიღოს გურიის სასულიერო სასწავლებელმა და ოზურგეთის სამოქალაქო სკოლამ და ის ფულები, რომელსაც აძლევენ ფერშლებს, გადადებულ იქმნას ქსენონისათვის, რომელიც უფრო სამედო და ხელ საყრელია.

ჰ. წულაძე.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

17 დეკემბერი

პეტერბურგი. 16 დეკემბერს პატივი სცეს ვეინბერგს სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლის შესრულების გამო. მიართვეს 22 ადრესი, ოქროს გვირგვინი რუსეთის დრამატიულ და ოპერების კომპოზიტორებმა, ორი ალბომი, ბრინჯაოს ქანდაკება ზედ წარწერით: „მეგობართა და პატივმცემელთაგან" და დიდი სურათი იუბილიარისა. 6 საათზე გაიმართა სადილი კონმანის რესტორანში.

მოსკოვი. აღმოაჩინეს მკვლელობა მთელის ოჯახისა, მოკლულია დედა 44 წლისა და ორი ქალიშვილი 18 და 17 წ. 16 დეკემბ., დილით გამოირკვა, რომ მკვლელობა ჩაადინა მოკლულის 20 წლის ვაჟმა, რომელმაც მოჰპარა დედას 500 მანეთი საყვარლისთვის საჩუქრების სასყიდლად. როდესაც გაიგო, რომ დედამა და დებმა შეუტყვეს ქურდობა, მოიწადინა მოწმეთა თავიდან მოშორება და კვალის დაკარგვა, მოჰკლა დედა და დები. მერე პოლიციელს შეატყობინა, რომ ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ მოჰკლეს, რომ ფული წაეღოთო.

16 დეკემბერს შესრულდა პროფეს. სტოროჟენკოს სამეცნიერო და საპედაგოგიო მოღვაწეობის 30 წელი.

ვარშავა. 1 იანვარს დაიწყებს მოქმედებას ტელეფონი ვარშავასა და ლოძის შუა.

მიწად-მოქმედების მინისტრმა ნება დართო გაიხსნას მერძეობის ინსტიტუტი, როგორიც არის ფინლიანდიაში.

გელსინგფორსი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება 7 დეკემბერს: დაიდგას გელსინგფორსში ლენროტსის ძეგლი. საძირკვლის ჩაყრისა და კურთხევის დრო უნდა დანიშნოს გენ.-გუბერნატორმა.—დათხოვნილ იქმნეს სამსახურიდან უმაღლესის ბძანებით მთავარი დირექტორი ფინლანდიის სადამოჟნო უწყებისა ვინტერი და მთავარი დირექტორი სასტამრო უწყებისა გრიპენბერგი.—ფინლიანდიის გაზეთი სწერს, რომ 7 დეკემბერს გამოიცა უმაღლესი ბრძანება: ადრესი—პროტესტი სამხედრო ბეგრის ახალის წესდების საწინააღმდეგო, რომელზედაც ხელი უწერიათ ბევრს იქაურ მოხელეთ დარჩეს უყურადღებოდ. მოხელეთა დანიშვნის დროს იმ თანამდებობაზე, რომლისთვისაც საჭირო მონარქის ნდობა, თუ ადგილობრივ მცხოვრებთაგან არ მოიპოვოს კანდიდატები, ნაბრძანებია, ამგვარ თანამდებობაზე დაინიშნოს იმპერიაში დაბადებული.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება იოანესბურგიდან, რომ ტვიფონტეინთან ტყვედ წაყვანილნი ინგლისელები გაანთავისუფლეს და კიდევაც ბელლემში მოვიდნენ.

ნიუ-იორკი. სანტ-იაგოს ჩილიდან ცნობა მოვიდა, არგენტინის დესპანი პორტელა დღეს ბუენოს აირესში მიდისო.

ვილემსტადტი. მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ ვენეცუელაში რევოლიუცია ვრცელდება. მთელი ეს მხარე აჯანყებულია. ყოველ დღე მოელიან გენერალის მატოსის ნაპირზე გადმოსვლას ტყვია წამლით; გენერალი ინსურგენტთა მოძრაობის ხელმძღვანელია. ვენეცუელას მთავრობამ ბრძანება გასცა, მოისპოს მიმოსვლა გერმანელთა რკინის გზაზე, რადგანაც საზოგადოებამ უარი სთქვა ჯარების წაყვანაზე იმ მიზეზით, თუ უზღუნველ არ ჰყოფს მოსალოდნელ ზარალისაგან.

ნიუ იორკი. ვილემსტადტიდან დეპეშით იუწყებიან, კარაკასში გერმანიის ელჩებმა მიჰმართეს ვენეცუელას მთავრობას და გამოუცხადეს ენერგიული პროტესტი რკინის გზის მიმოსვლის შეჩერების გამო.

თეირანი. სპარსეთის მთავრობამ, შეიტანა რუსეთის ბანკში 578144 მანეთი ოქროთი, ეს ფული ნახევარია იმ ვალისა, რომლის ვადა თავდება 21 დეკემბერს, და უნდა გაისტუმროს რუსეთის 1900 წლის სესხი და მისი სარგებელი.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ცინკოგრაფია

ტიფლის. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ე ქ ი მ ი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 12—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე"-„ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე"

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	18 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
„	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ. —კ.
6 თვით	4 „	6 თვით	6 „ 50 „
1 „	75 „	1 „	1 „ 10 „

ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა აქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება საშივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели."

Дозволено цензурою. Тифлисъ. 17 Декабря 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.